ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი გ. გ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.07.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №086/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. მ. /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. მ.-ს „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 ივლისს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა, გ. გ.-მ ადვოკატ, გ. მ.-ს წინააღმდეგ. 2018 წლის 3 ოქტომბერს საპროცესო სხდომაზე გ. გ.-მ მხარი დაუჭირა საჩივარში მითითებულ პრეტენზიებს.

1.2 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 2018 წლის 6 ივნისს, პირველი არხის ეთერში მ. ც.-ს გადაცემაში მიმდინარეობდა დისკუსია მართლმსაჯულების თემებზე, სადაც მიწვეულები იყვნენ ადვოკატი გ. მ. და ს. ხ.. დისკუსიის დროს გ. მ.-მ გ. გ.-ს გვარი მოიხსენია უდიერად, ასევე უარყოფით კონტექსტში ახსენა გ. გ.-ს მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რაც დისკუსიისას გაგრძელდა. კერძოდ, საჩივარში აღნიშნულია, რომ გ. მ.-მ გ. გ. მოიხსენია შემდეგი სიტყვებით: „კი კი გ. მაგარი ვარ“, „ორგანიზაციას ო. აქვს“. დისკუსიის დროს, ს. ხ.ი შეეკითხა მას: „შენ უფრო მაგარი ხარ?“ რაზედაც გ. მ.-მ უპასუხა: „კი, კი ეგრე ვარ ზუსტად“. გ. მ.-მ გადაცემაში ასევე აღნიშნა, რომ გ. გ. წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ხელისუფლებას „უპრავებს პროცესებს“.

1.3 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ გადაცემაში ყოფნის დროს ადვოკატი გ. მ. ფლობდა ინფორმაციას, რომ ის იყო არასამთავრო ორგანიზაციის - „ა., ი. ს. ო.-ის“ თავმჯდომარე და ასევე

ადვოკატთა ასოციაციის წევრი. თუმცა, მიუხედავად ამისა, მან საჯარო გამონათქვამებით გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება და მოიქცა არაკოლეგიალურად.

1.4 საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ მას პრეტენზია აქვს უშუალოდ მის მიმართ გამოთქმული შეურაცხმყოფელი ტერმინების გამო, ხოლო „ა., ი. ს. ო.-ს“ ორგანიზაციასთან მიმართებით წარმოთქმული ფრაზებს მოცემულ დისციპლინურ დავაში არ ხდის სადავოდ, ვინაიდან აცნობიერებს, რომ ამ საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის თემატიკაში.

1.5 ადვოკატი გ. გ. განმარტავს, რომ ადვოკატ გ. მ.-ს მიერ მის მიმართ სატელევიზიო ეთერით დისკუსიის დროს წარმოთქმული შეურაცხმყოფელი და ცილისწამებლური გამონათქვამებით შეილახა მისი პროფესიული ღირსება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 09 ოქტომბერს, საპროცესო კოლეგიის გამართულ სხდომაზე ადვოკატმა გ. მ.-მ აღნიშნა, რომ 2018 წლის 06 ივნისს, პირველი არხის ეთერში გასულ გადაცემაში არ საუბრობდა როგორც ადვოკატი და ასევე არ საუბრობდა რომელიმე საქმეზე, სადაც მხარეს წარმოადგენდა თვითონ ან ადვოკატი გ. გ.. გადაცემაში საუბარი იყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე.

2.2 ადვოკატი ადასტურებს, რომ გადაცემაში ისაუბრა ადვოკატ გ. გ. და მის დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციაზე, თუმცა მას არ უხსენებია გ. გ.-ს სახელი და ამასთან, ორგანიზაციის სახელსაც არასრულყოფილად ასახელებდა. ადვოკატის განმარტებით, მისი საუბარი არ იყო დაკავშირებული გ. გ.-ს პროფესიულ - საადვოკატო საქმიანობასთან, საუბრისას შეეხო გ. გ.-ს მიერ დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, გ. გ.-ს მსგავსად ისიც არის სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარე, თუმცა როდესაც გამოხატავს პოზიციას ყოველთვის საუბრობს ორგანიზაციის სახელით. ადვოკატის შეფასებით, როდესაც პირი ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას და აქვს საჯარო პოზიციები უნდა ელოდოს, რომ შესაძლებელია ის საჯაროდ გააკრიტიკონ საკუთარი საქმიანობის გამო. შესაბამისად, ადვოკატი თვლის, რომ აღნიშნული დავა წარმოადგენს ორ ორგანიზაციას შორის კონფლიქტს და მას კავშირი არ აქვს გ. გ.-ს პიროვნებასთან და მის მიერ განხორციელებულ საადვოკატო საქმიანობასთან.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მის მიერ გადაცემაში დისკუსიის დროს ნახსენები ფრაზა - „მე უფრო მაგარი ბიჭი ვარ“, იყო ერთგვარი გამოხატვის ფორმა და დაკავშირებული იყო მისი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობასთან. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის მსგავს ორგანიზაციებს არ აქვთ მითითებული დაფინანსების წყარო, გაურკვეველია მათი ფორმირება, ხოლო, გ. მ.-ს მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის მსგავსი ორგანიზაციები უფრო მეტი ნდობითა და ინტერესით სარგებლობენ. შესაბამისად, ადვოკატს აქვს პრეტენზია, რომ მისი ორგანიზაცია არის ბევრად კარგი ვიდრე გ. გ.-ს ორგანიზაცია და სწორედ ამის გამოსახატად გამოიყენა ზემოთ აღნიშნული სიტყვები.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №4/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 გ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2018 წლის 06 ივლისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა გ. მ.-მ სატელევიზიო გადაცემაში საუბრისას მოიხსენია გ. გ. უარყოფით კონტექსტში, მის მიმართ წარმოთქვა შეურაცხმყოფელი და ცილისწამებლური გამონათქვამები, რითაც მოიქცა არაკოლეგიალურად და შელახა საჩივრის ავტორის პროფესიული ღირსება.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ გ. მ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> აპეკ-ის მე-7 მუხლი: *,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსებები და დაიცვას პროფესიული ღირებულებები."*
>
> აპეკ-ის მე-8[1] მუხლი: *„ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე"*

5.3 ადვოკატს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებები კოლეგების მიმართ, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, არ დააზიანოს კოლეგის კლიენტის კანონიერი უფლებები, არ მიმართოს არასათანადო რეკლამას და დაიცვას კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებული სხვა პროფესიული ვალდებულებები. თუ კოლეგის ღირსების შელახვის აკრძალვა ნეგატიურია, პატივისცემის ვალდებულება პოზიტიურია, რაც დამატებით ვალდებულებებს აკისრებს ადვოკატს, კერძოდ, კოლეგებთან კომუნიკაციაში და მოქმედებებში, უნდა სჩანდეს ურთიერთპატივისცემა, ხოლო ნებისმიერი საპროცესო დაპირისპირება, თუნდაც კოლეგის პოზიციის მკაცრი კრიტიკა არ უნდა შეეხოს ისეთ საკითხებს, რომლებიც ადვოკატის პროფესიისადმი პატივისცემას ეჭვქვეშ დააყენებს ან შელახავს კოლეგის ღირსებას. პატივისცემის ვალდებულებაში პიროვნული შემადგენელი მეორეხარისხოვანია და ის გამომდინარეობს ადვოკატის პროფესიისადმი ნდობის დაცვის და გამყარების აუცილებლობიდან, რაც საბოლოოდ მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესიდან გამომდინარეობს.

5.4 ამასთან ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრონციპთან ან სასამართლოს მიმართ ვალდებულებებთან, ასევე იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის.

5.5 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.6 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

5.7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.8 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

5.9 ამ ეტაპზე საპროცესო კოლეგიის მიერ დასადგენია, ფაქტების დამტკიცების შემთხვევაში, დაარღვია თუ არა ადვოკატ გ. მ. კოლეგიურობის პრინციპი ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ, კერძოდ თავის განცხადებებით შელახა თუ არა მისი, როგორც ადვოკატის ღირსება და გამოიჩინა თუ არა მის მიმართ უპატივცემლობა.

5.10 საქმეში წარმოდგენილია პირველი არხის ეთერში გასული გადაცემის ჩანაწერი. აღნიშნულ ვიდეოში, გადაცემის წამყვანს და გადაცემაში მიწვეულ სტუმრებს, გ. მ. და ს. ხ.-ს შორის დისკუსია ასეთია:

„გ. მ.: ნუ ახლა, გაგნიძეს თუკი მიიყვანს ქალბატონი წ. და იტყვის, რომ ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია ღმერთმა მშიდობაში მოახმაროს.

...

ს. ხ.: ვიღაცა გ. თქვი, არ ვიცი ვინა არის გ., წარმოდგენა არ მაქვს ვინ არის გ.

გ. მ.: არ გეცოდინებათ ხომ...

ს. ხ.: მაგრამ, მას ხომ აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია. როდესაც შენ მეუბნები, რომ შენ მასზე უკეთესი ხარ, ან შენი სიტყვა პრიმატია, ანუ შენ უფრო მაგარი ბიჭი ხარ?

გ. მ.: კი ეგრე ვართ ზუსტად.

ს. ხ.ი: კი გასაგებია, მაგრამ...

გ. მ.: ადამიანი, რომელიც არის ერთი კაცის ენჯეო, რომელსაც გრანტი არ აუღია და ვიღაცის დაფინანსებაზეა მიბმული არასაჯაროდ...

ს. ხ.: არ ვიცი გ. და აქ ხომ არ არის და ვერ ვილაპარაკებ ამაზე...

გ. მ.: ეს არის ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან, მაპატიეთ ამ სლენგისთვის და ამ სიტყვისთვის. ეხლა ნუ სვამ ერთ სიბრტყეზე იმ ორგანიზაციებს რომლებიც ათწლეულებია მუშაობს.

წამყვანი: ვინ არის ასეთი ორგანიზაციები გ.?

ს. ხ.: არ ვიცი.

გ. მ.: აი ვინც ვთქვი წელან, იურისტთა ო. თუ რაღაც ვთქვი...

წამყვანი: მთელი 35 თუ 18 ორგანიზაცია ამ პრინციპით არის შექმნილი?

გ. მ.: არა, არა ვინც მინისტრის სიაში იყო იმაზე ვსაუბრობდი ახლა, შ. არ ვსაუბრობ ამ შემთხვევაში. მინისტრის გამოქვეყნებულ მოწვეულ ორგანიზაციებში იქ არის ერთი, ვისაც ო. აქვს დაბოლოებაში. ნახეთ ეს ორგანიზაცია, მოძებნეთ რას აკეთებს, რა გაუკეთებია და ბოლო პროექტი როდის ჰქონდა.

ს. ხ.: გავიგე, გ..

გ.ი მ.: ანუ ორგანიზაციები რომლებიც ფურცელზე არსებობენ და თანამშრომლებიც კი არ ჰყავთ, ვებგვერდი არა ააქვთ, პროექტი არ აქვთ და რატომ გვაყენებ ერთ სიბრტყეზე? აი ეს მითხარი აბა. მე კი არა ზოგადად, აი როგორ შეიძლება ყველა აიპი დააყენო ერთ სიბრტყეზე და თქვა რომ ნებისმიერ 10 აიპის მოიყვანს სამინისტრო და თქვა, რომ ეს იქნება სამოქალაქო ჩართულობა, ესე უყურებ პროცესს? არ უყურებ ს. შენ ესე ამ პროცესს, ზუსტად ვიცი, რომ ესე არ უყურებ და აიპი შეიძლება იყოს ფეხბურთის გუნდიც“.

5.11 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ გადაცემაში მიმდინარე დიალოგის დროს განვითარებული საუბარი ძირითადად ეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს. გ. მ. აკრიტიკებს გ. გ.-ს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და თავად მის ორგანიზაციას. რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მიერ მითითებულ სიტყვებს „კი, კი გაგნიძეზე მაგარი ვარ“, აღნიშნული სიტყვები ადვოკატ გ. მ.-ს მიერ არ არის წარმოთქმული, ადვოკატი ს. ხ.-ს დასმულ კითხვაზე - „შენ უფრო მაგარი ბიჭი ხარ?“ პასუხობს: - „კი ეგრე ვართ ზუსტად“. აღსანიშნავია, რომ გ. მ.-ს მიერ წარმოთქმული სიტყვები შესაძლოა განხილული იქნეს ადვოკატის რეკლამის შემზღუდველი ნორმებით, ვინაიდან ადვოკატს ეკრძალება მითითება სხვა ადვოკატზე ან მის მომსახურებაზე. თუმცა, მოცემული ფრაზები წარმოთქმული იყო არა საადვოკატო მომსახურების

შედარებისთვის, არამედ არასამთავრობო სექტორში მათი საქმიანობის წარმართვისა და მნიშვნელობის ხაზგასასმელად. ამასთანავე, ეს ფრაზა არ არის უპატივცემულობის და ღირსების შემლახავი, ვინაიდან ნებისმიერ ადამიანს გარკვეულ სფეროში, შესაძლოა თავი მიაჩნდეს სხვაზე უფრო კომპეტენტურად.

5.12 ასევე ადვოკატი გ. გ. სადაოდ ხდის გ. მ.-ს საუბრისას ნათქვამ შემდეგ ფრაზას: „ორგანიზაციას ო. აქვს". აღნიშნული, საჩივრის ავტორის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი გადაცემის ჩანაწერში, არ ისმინება. გ. მ. „ო.-ს" ახსნებს შემდეგი სახით - *„აი ვინც ვთქვი წელან, იურისტთა ო. თუ რაღაც ვთქვი..."*, რაც ვერ ჩაითვლება უპატივცემულობად ან რაიმე სახის ნეგატიურ კონტექსტად, რადგან ვიდეომასალიდან ირკვევა, რომ გ. მ.-ს არ ახსოვს გ. გ.-ს ორგანიზაციის სრული სახელწოდება და ამ სახელწოდებიდან მხოლოდ ერთ სიტყვას ასახელებს.

5.13 საპროცესო კოლეგიამ ყურადღებით განიხილა დიალოგში მოცემული ფრაზები: - *„ადამიანი, რომელიც არის ერთი კაცის ენჯეო, რომელსაც გრანტი არ აუღია და ვიღაცის დაფინანსებაზეა მიბმული არასაჯაროდ..."*; *„ეს არის ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან"; „ნახეთ ეს ორგანიზაცია, მოძებნეთ რას აკეთებს, რა გაუკეთებია და ბოლო პროექტი როდის ჰქონდა"; „ანუ ორგანიზაციები რომლებიც ფურცელზე არსებობენ და თანამშრომლებიც კი არ ჰყავთ, ვებგვერდი არა ააქვთ, პროექტი არ აქვთ და რატომ გვაყენებ ერთ სიბრტყეზე?".* საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფრაზები წარმოთქმულია ორგანიზაციის მისამართით, თუნდაც უარყოფით კონტექსტში. ამ შემთხვევაში ერთი შეხედვით კოლეგიალობის პრინციპი არ არის გამოსაყენებელი, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული საზოგადოებისთვის ან მისი გარკვეული წრისთვის შეიძლება ცნობილი იყოს, რომ გ. გ. არის ადვოკატი, ასევე ცნობილი იყოს, რომ გ. მ. არის ადვოკატი, მათთან დაკავშირებული ორგანიზაციების საქმიანობა შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ადვოკატის აქტიურობა სამართლის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებაში და ამ კუთხით გაკეთებული განცხადებები დაექვემდებაროს კოლეგიალობის პრინციპით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

5.14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2015 წლის 6 მაისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეზე №დს-შ/5-15 განმარტა: „ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში... კოდექსი მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის".

5.15 კოლეგისადმი მიმართვა, რომ მან ხელოვნურად შექმნა ორგანიზაცია, რომელსაც ხელისუფლებას *„გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან"* არის კოლეგის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენიება, რადგან მის დამოუკიდებლობას აყენებს ეჭვქვეშ. აპეკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელი უნდა იყოს ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ არ უნდა დაუშვან კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს სასარგებლოდ. თუ ადვოკატი, თუნდაც ის არ წარმოადგენდეს კლიენტს, ასრულებს სახელმწიფოს კონფიდენციალურ დავალებებს, დგება დამოუკიდებლობის დაკარგვის რისკის

წინაშე. სწორედ ამიტომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის 16.3 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია ადვოკატის კონფიდენციალური ხელშეწყობის გამოყენება საკონტრაქტო საფუძველზე. აღნიშნულ საკითხზე დეტალურად აქვს კომისიას ნამსჯელი 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებაში, საქმეში №057/10, სადაც დადგინდა, რომ ადვოკატი ასრულებდა პროკურატურის ფარული დავალებებს. შესაბამისად, მსგავსი ცნობის გავრცელებით, ხდება ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის ეთიკის ნორმების დარღვევაში დადანაშაულება, რაც ვერ ჩაითვლება კოლეგის მიმართ პატივისცემის გამოხატვად. ამ შემთხვევაში შესაფასებელია, რამდენად დაცულია ასეთი განცხადება გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლებით.

5.16 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმე N076/10 აღნიშნა, რომ „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“, თუმცა ადვოკატი ვალდებულია საჯარო განცხადებების გაკეთების დროს დაიცვას ინფორმაციის სისწორე, „ადვოკატის მხრიდან ადგილი არ აქვს არასწორი ინფორმაციის გავრცელებას, მაშინ, როდესაც მისი კომენტარები წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად მისი შინაარსის სისწორე-მცდარობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის შეხედულებებზე“ (05.09.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე N069/11)

5.17 საპროცესო კოლეგიას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებზე მსჯელობისას ეყრდნობა ევროსასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. არსებობს ეჭვი აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ (2018 წლის 17 იანვრის სუსგ № ას-790-739-2017).

5.18 ევროპული სასამართლო აღნიშნავს, საზოგადოების ინტერესის სფეროში მყოფ საკითხზე მიმდინარე დებატების პროცესში, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის დადგენისას სახელმწიფოთათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები [margin of appreciation] განსაკუთრებით ვიწროა) (*Floquet and Esménard v. France*, no. 29064/08, 10 January 2002; *July and SARL Libération* judgment (no. 20893/03, ECHR 2008; *Morice v. France [GC], no. 29369/10, § 153, 23 April 2015).* სუსგ 2015 წლის 30 სექტემბრის № ას-1052-1007-2014 მოცემულია მსჯელობა, რომ ვინაიდან ცნობები გავრცელებულია იმ საკითხის განხილვისას, რომლის მიმართაც არსებობს საზოგადობის მაღალი ინტერესი, სასამართლო იმ შემთხვევაში იყენებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, თუ არ არსებობს არანაირი ეჭვი ცნობებისათვის ფაქტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი. გამოხატვის შეზღუდვის აუცილებლობის ხასიათი განისაზღვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას. გამოხატვის შეზღუდვის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსების პრობლემა.

5.19 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. მ.-ს გადაცემაში გაჟღერებული მოსაზრებები სარგებლობენ სამართლებრივი დაცვით, რადგან მისი საუბარი შეიცავდა შეფასებით მსჯელობას

გ. გ.-ს მიერ დაარსებულ ორგანიზაციასა და თავად გ. გ. ხოლო მოსაზრებები იყო წარმოდგენილი საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხზე - მთავარი პროკურორის დანიშვნასთან დაკავშირებული საჯარო დისკუსიის ფარგლებში. შესაძლებელია მისი გამონათქვამი [გ. გ.-ს მიერ დაფუძნებული ორგანიზაცია] *„გასაპრავებლად ყავთ ჩასმული ყველგან“* აღქმული იყოს, როგორც ადვოკატ გ. გ.-ს მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვასთან შეუფერებელი ქმედება, თუმცა 5.10 პარაგრაფში ციტირებული კონტექსტიდან ნათელია, რომ გ. მ. მოსაზრების წარმოდგენით არ ისახავდა უპირატეს მიზნად გ. გ.-ის, როგორც ადვოკატის, პროფესიული ღირსების შელახვას. გარდა ამისა, თუ არსებობს ეჭვი, ზემოაღნიშნული ცნობა ფაქტია თუ მოსაზრება, ყოველგვარი ეჭვი მოსაზრებას და ფაქტს შორის, 5.18 პარაგრაფში მითითებული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს ეჭვი უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ, რომელიც სარგებლობს სამართლებრივი დაცვით. ამ შემთხვევაში საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს მოსაზრებას.

5.20 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ასკვნის, რომ თუნდაც დადასტურდეს საჩივრის ავტორი მიერ მითითებული ფაქტები, ვერ დგინდება ადვოკატ გ. მ.-ს მიერ აპეკ-ის მე-7 მუხლის და მე–8[1] მუხლის დარღვევა.

5.21 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №086/18 ადვოკატ გ. მ.-ს მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/